ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2021 წლის 9 აგვისტო

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება ,,ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25.01.2018 წ. 270070000.35.164.016292) და დადგენილების N2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N2

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა

საშტატო ნუსხა

რანგი	თანამდებობის (სტრუქტურული ერთეულის) დასახელება	საშტატო რიცხოვნება
I	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი	1
III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	2
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკანცელარიო საკითხებში	1
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ქევხიშვილი